



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დეკანოზიშვილი გიორგი გაბრიელის ძე

დეკანოზიშვილი გიორგი გაბრიელის ძე [1868, პეტროვსკი (ახლანდ. მაჰანყალა, დაღესტნის ავტ. რესპ.), – 19. XI. 1910, კანი, საფრანგეთი], პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართვე. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1901) და ლიდერი, 1890-იდან საქართვე. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აქტ. მონაწილე.

დაამთავრა თბილისის რეალური სასწავლებელი (1887) და პეტერბურგის სამთო ინ-ტი (1892). 1890 პეტერბურგში შექმნა ქართვე. და სომეხ სტუდენტთა კავშირი, რ-იც მალე დაიშალა. 1889–92 იყო პეტერბურგის ქართვე. სტუდენტთა წრის ლიდერი და რუს. იმპერიის უმაღლ. სასწავლებლების სტუდენტთა პოლიტ. მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. 1892 დ-ის აქტ. მონაწილეობით ქუთაისში დაფუძნდა რუს. იმპერიის ქართვე. სტუდენტთა გაერთ. პოლიტ. ორგანიზაცია „საქართველოს თავისუფლების ლიგა“.

1892–95 დ. მუშაობდა ჭიათურაში, ნ. ლოლობერიძის მანგანუმის სამრეწვ. ფირმის ინჟინრად და საბადოს გამგედ, 1895–98 – ბაქოს ნობელების ნავთობგადამამუშავებელი ფირმის კონტროლიორ-ინსპექტორად. 1899 მივლინებულ იქნა ევროპაში (ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი). პარიზში ცოლად შეირთო ფრანგი ქალი ანრიეტა ფრენუა.

1900 სამშობლოში დაბრუნდა. 1902 გ. ზდანოვიჩის (მაიაშვილი) დავალებით, მანგანუმის წარმოების იქაური მეთოდების შესასწავლად, იმოგზაურა ბრაზილიასა და კუბაში. დაბრუნების შემდეგ დაწერა მონოგრაფია აღნიშნულ ქვეყნებში მანგანუმის მრეწვ. შესახებ (გამოიცა 1905 ქუთაისში, ქართვე. და რუს. ენებზე).

1900 ქართვ. სოციალისტ-ფედერალისტთა პირველმა ჯგუფმა დ-ის თაოსნობით თბილისში გამოსცა გაზ. „ცნობის ფურცელი“ (მანამდე, 1896–1900, იგი თანამშრომლობდა გაზ. „ივერიასთან“). 1901 დ-ის, ა. ჯორჯაძის, თ. სახოკიას, კ. აბაშიძის, ა. დეკანოზიშვილის, გ. ლასხიშვილისა და სხვათა თაოსნობით თბილისში, ფარულ კრებაზე, დაარსდა საქართვე. სოციალისტ- ფედერალისტთა პარტია; დ. ცკ-ის წევრად აირჩიეს, უძღვებოდა პარტიის საორგ. საქმიანობას.

1901 მისი თაოსნობით პარიზში დაარსდა პარტიის პერიოდული გამოცემა – გაზ. „საქართველო“, რ-იც ფრანგულენოვან ვარიანტთან ("La Géorgie") ერთად გამოდიოდა 1905 დამლევამდე. 1904 დ. იყო ჟენევაში ქართვ. სოციალისტ-ფედერალისტთა კონგრესის ჩატარების ერთ-ერთი მოთავე. 1904 პარიზში გამოსცა ამ კონგრესის ოქმები.

რუს. პირველი რევ. დროს, 1905, დ-ის თაოსნობით, გემ „სირიუსით“ საქართველოში გამოიგზავნა იარაღი და ტყვია-წამალი. 1900-იდან დ. იყო ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის გამგეობის წევრი და აქტ. პოლიტ. მოღვაწე.

მისი პუბლიც. წერილები ეხება საქართვე. ეროვნ.- პოლიტ. საკითხებს, მანგანუმის წარმოებასა და მის მნიშვნელობას საქართველოსათვის. 1906-იდან დ. იძულებული გახდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ჩამოშორებოდა აქტ. პოლიტ. მოღვაწეობას.

გარდაიცვალა საფრანგეთში. 1911 ფარულად გადმოასვენეს საქართველოში.

ლიტ.: ს ა ხ ო კ ი ა თ., ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969; ტ უ ლ უ შ ი მ., გიორგი დეკანოზიშვილი (ცხოვრება და მოქმედება). – ჟურნ. «კავკასიონი», X, პარიზი, 1965; უ რ უ შ ა ძ ე ლ., გიორგი დეკანოზიშვილის პოლიტიკური ბიოგრაფიისათვის („საქართველოს თავისუფლების ლიგა“ და „ქართველ სოციალ-ფედერალისტთა პარტია“ – 1890–1906), «საისტორიო ვერტიკალები», 2007, №13.

ლ. ურუშაძე
